საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2021 წლის ნოემბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2021 წლის ნოემბრის თვეში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-11/ნ ბრძანება

2021 წლი 10 ნოემბერს „COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვისა და იმუნიზაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 3 თებერვლის №01-11/ნ ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №5[1] დანართის (COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესში დამატებითი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე):

1. პირველი და მე-2 მუხლები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

განისაზღვროს Covid-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დამატებითი (ბუსტერ) დოზის ადმინისტრირების წესი შემდეგი სახით:

1. Covid-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დამატებითი (ბუსტერ) დოზით აცრა ჩაუტარდეს 18 წელს ზემოთ პირებს, მათ შორის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებს და პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულ/მსჯავრდებულ 18 წელზე მეტი ასაკის პირებს (მოქალაქეობის სტატუსისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის მიუხედავად).

2. ბუსტერდოზით ადმინისტრირება უნდა განხორციელდეს ვაქცინაციის პირველადი კურსის დასრულებიდან მინიმუმ 6-თვიანი ინტერვალით, რაც აითვლება მეორე დოზის გაკეთების თარიღიდან. ბუსტერდოზად შესაძლებელია გამოყენებული იყოს იგივე ან სხვა ვაქცინა.

3. Covid-19-ის საწინააღმდეგო ინაქტივირებული ვაქცინებით (სინოვაკი, სინოფარმი) აცრილი 60 წელს ზევით ასაკის პირებისათვის ბუსტერდოზა შესაძლებელია გაკეთდეს ვაქცინაციის პირველადი კურსის დასრულებიდან 3-6 თვის ინტერვალშიც.

4. Covid-19-ის საწინააღმდეგო AstraZeneca წარმოების ვაქცინით აცრილი პირებისთვის ბუსტერდოზად შესაძლებელია გამოყენებული იყოს Pfizer–BioNTech ვაქცინა.

მუხლი 2

Covid-19-ის საწინააღმდეგო Pfizer–BioNTech ვაქცინით ასაცრელ კონტინგენტს დაემატოს 12-დან 15 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვები.“.

2. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4

ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირებმა, ვაქცინაციის სურვილის შემთხვევაში, ამცრელ დაწესებულებებს უნდა წარუდგინონ სამგზავრო ბილეთი/ჯავშანი, ან მოწვევა, ან წერილი სამსახურიდან მივლინების შესახებ, ან დამსაქმებლის წერილი ხშირი ბიზნესვიზიტების შესახებ და სხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაქცინაცია არ ჩატარდება.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016915

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრაძანებით 2021 წლის 30 ნოემბერს ცვლილებები განხორციელდა იმუნიზაციის სერვისის საკითხებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016918

ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 1 დეკემბრიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №579 ბრძანება

2021 წლის 29 ნოემბერს „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრირებისა და მის მიერ პირთა მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული დროებითი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის №579 ბრძანებას დაემატა შემდეგი შინაარსის 2^1 მუხლი:

„მუხლი 2^1. სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების გადახდისაგან გათავისუფლების დამატებითი შემთხვევები:

1. საქართველოს მთავრობის ვაქცინაციის საკომუნიკაციო სტრატეგიის შესაბამისად, მუნიციპალიტეტებში საგანგებოდ მოწყობილ ვაქცინაციის პუნქტებში ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინით აცრილი საქართველოს მოქალაქეები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის ტერიტორიულ ორგანოებში – მობილურ იუსტიციის სახლებში „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-2–71, მე-9–მე-13, მე-16, მე-17, 202–22-ე, 28-ე–31-ე, 34-ე, 38-ე და 39-ე–44-ე პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებების გაწევის თაობაზე განცხადების ვაქცინაციის დღეს წარდგენის შემთხვევაში, ერთჯერადად გათავისუფლდნენ ამავე პუნქტებით დადგენილი მომსახურებების (გარდა დაჩქარებული მომსახურებისა) საფასურების გადახდისაგან.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა მოთხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ შესაბამის ვაქცინაციის პუნქტებში ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის წარდგენა საჭირო არ არის, თუ ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინაციის ფაქტის გადამოწმება შესაძლებელია შესაბამისი ელექტრონული საშუალებით.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040030000.22.027.017271

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2021 წლის 20 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №580 ბრძანება

2021 წლის 29 ნოემბერს „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრირებისა და მის მიერ პირთა მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული დროებითი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის №580 ბრძანებას დაემატა შემდეგი შინაარსის 3[3] მუხლი:

„1. საქართველოს მთავრობის ვაქცინაციის საკომუნიკაციო სტრატეგიის შესაბამისად, მუნიციპალიტეტებში საგანგებოდ მოწყობილ ვაქცინაციის პუნქტებში ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინით აცრილი საქართველოს მოქალაქეები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის ტერიტორიულ ორგანოებში – მობილურ იუსტიციის სახლებში სააგენტოს მომსახურების გაწევის თაობაზე განცხადების ვაქცინაციის დღეს წარდგენის შემთხვევაში, თითოეული მომსახურებისთვის (გარდა, დაჩქარებული მომსახურებისა) ერთჯერადად გათავისუფლდნენ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურების გადახდისაგან.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა მოთხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ შესაბამის ვაქცინაციის პუნქტებში ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის წარდგენა საჭირო არ არის, თუ ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის ფაქტის გადამოწმება შესაძლებელია შესაბამისი ელექტრონული საშუალებით.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040030000.22.027.017273

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2021 წლის 20 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №581 ბრძანება

2021 წლის 29 ნოემბერს საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ნოტარიუსთა პალატის, აგრეთვე ნოტარიუსების საქმიანობის ადმინისტრირებისა და მათ მიერ პირთა მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული დროებითი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის №581 ბრძანებას დაემატა შემდეგი შინაარსის 2[1] მუხლი:

„1. საქართველოს მთავრობის ვაქცინაციის საკომუნიკაციო სტრატეგიის შესაბამისად, მუნიციპალიტეტებში საგანგებოდ მოწყობილ ვაქცინაციის პუნქტებში ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინით აცრილი საქართველოს მოქალაქეები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის ტერიტორიულ ორგანოებში – მობილურ იუსტიციის სახლებში საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მომსახურების გაწევის თაობაზე განცხადების ვაქცინაციის დღეს წარდგენის შემთხვევაში, თითოეული მომსახურებისთვის ერთჯერადად გათავისუფლდნენ „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზრაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 41-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურების გადახდისაგან.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა მოთხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ შესაბამის ვაქცინაციის პუნქტებში ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის წარდგენა საჭირო არ არის, თუ ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის ფაქტის გადამოწმება შესაძლებელია შესაბამისი ელექტრონული საშუალებით.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციოკოდით: 170020000.22.027.017272

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2021 წლის 20 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-93/ნ

2021 წლის 30 ნოემბერს №01-93/ნ ბრძანებით დამტკიცდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან, ტესტირებასთან ან/და გამოჯანმრთელებასთან დაკავშირებული დოკუმენტის გაცემის წესი, ფორმა და რეკვიზიტები, რომელიც დანართის სახით ერთვის აღნიშნულ ბრძანებას.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016919

ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №16/04 ბრძანება

2021 წლის 19 ნოემბერს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 5 თებერვლის №16/04 ბრძანებით განისაზღვრა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესით“ დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის ჯარიმების ოდენობა.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220090000.18.011.016601

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სექტემბრის №448 ბრძანება

2021 წლის 4 ნოემბერს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ბრძანებით გათვალისწინებული დანართი №9-დან ამოღებულ იქნა 158-ე - 160-ე გრაფები.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040030000.22.022.018096

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №791

2021 წლის 29 ნოემბერს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და 254-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდა:

ა) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტანდარტული წესდება (დანართი №1);

ბ) კომანდიტური საზოგადოების სტანდარტული წესდება (დანართი №2);

გ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტანდარტული წესდება (დანართი №3);

დ) სააქციო საზოგადოების სტანდარტული წესდება (დანართი №4);

ე) კოოპერატივის სტანდარტული წესდება (დანართი №5).

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 240000000.22.027.017282

ბრძანება ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2021 წლის 5 ნოემბერს ცვლილებები განხორციელდა „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციებში. კერძოდ: „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

და გაფორმების შესახებ“ (დანართი №8) „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №19) ინსტრუქციებში განხორციელდა რიგი ცვლილებები.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017523

ეს ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 1 დეკემბრიდან.

ამავე ბრძანებით 2021 წლის 18 ნოემბერს რიგი ცვლილებები განხორციელდა „გარანტიის შესახებ“ (დანართი №4) და „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარიებისა და გაფორმების შესახებ“ (დანართი №8) ინსტრუქციებში.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017527

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებით 2021 წლის 19 ნოემბერს ასევე რიგი ცვლილებები განხორციელდა „საბაჟო კონტროლის შესახებ“ (დანართი №2) ინსტრუქციაში.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017528

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანება

2021 წლის 11 ნოენბერს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 112-ე მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„13. 2022 წლის 31 ივლისის ჩათვლით შერჩეულ პირს არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება აუნაზღაურდება შემოსავლების სამსახურის მიერ, შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017526

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდა 2021 წლის 1 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №322

2021 წლის 18 ნოემბერს იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-4 მუხლის 6^4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6^4. ამ მუხლის 6^3 პუნქტით დაწესებული შეზღუდვა (მაყურებლის გარეშე სპორტული ღონისძიების ჩატარების თაობაზე) არ ვრცელდება საქართველოს უმაღლესი ლიგების (ფეხბურთში – „ეროვნული ლიგა 1“, რაგბიში – „დიდი 10“) მატჩებსა და საქართველოში დაგეგმილ საერთაშორისო შეჯიბრებებზე/მატჩებზე (სპორტის ნებისმიერ სახეობაში), რომლებზეც დაიშვებიან მაყურებლები „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად და ამასთან, აღნიშნულ ღონისძიებებზე დასწრების მსურველმა უნდა წარადგინოს შესაბამის ღონისძიებამდე არანაკლებ 14 დღით ადრე სრულად ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ბოლო 6 თვის მანძილზე ლაბორატორიულად დადასტურებული COVID-ინფექციის გადატანის

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

შესახებ ცნობა, ან მოცემულ ღონისძიებამდე 72 საათით ადრე ჩატარებული PCR ტესტის ან 24 საათით ადრე ჩატარებული სწრაფი ანტიგენის ტესტის უარყოფითი პასუხი.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.023093

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

2021 წლის 29 ნოემბერს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-11 მუხლის 4^1 პუნქტის:

1. „ა2 “ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ა2) საერთაშორისო სამგზავრო სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლის შემთხვევაში, „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებით დამტკიცებული გეგმის დანართი №2-ის 11 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პირები ნებისმიერი ტიპის კოვიდვაქცინის სრული კურსის (ორი დოზა, ხოლო johnson&Johnson ვაქცინაციის შემთხვევაში – ერთი დოზა) დამადასტურებელი დოკუმენტისა და საქართველოში ვიზიტამდე ბოლო 72 საათში ჩატარებული PCR ტესტის ნეგატიური პასუხის (მათ შორის „ა3“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქართველოს მოქალაქეები), ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც ბოლო 100 დღის პერიოდში გადატანილი აქვთ COVID-ინფექცია (დადასტურებული PCR დადებითი ტესტით), ჯანმოს მიერ გადაუდებელი ავტორიზაციამინიჭებული ნებისმიერი ვაქცინის ერთი დოზით (დაინფიცირებისა და აცრის თანმიმდევრობას არ აქვს მნიშვნელობა; აცრიდან გასულია 14 დღე) ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტისა და საქართველოში ვიზიტამდე ბოლო 72 საათში

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ჩატარებული PCR ტესტის ნეგატიური პასუხის საზღვარზე წარდგენის შემთხვევაში, არ ექვემდებარებიან ამ წესით განსაზღვრულ შეზღუდვებს;".

2. „ა2" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის „ა3" ქვეპუნქტი:

„ა3) საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც კოვიდვაქცინის სრული კურსი ჩატარებული აქვთ საქართველოში, ნებისმიერი ქვეყნიდან გამომგზავრებისას საქართველოს ტერიტორიაზე სახმელეთო საზღვრის კვეთისას თავისუფლდებიან საქართველოში ვიზიტამდე ბოლო 72 საათში ჩატარებული PCR ტესტის ნეგატიური პასუხის საზღვარზე წარდგენის ვალდებულებისგან.".

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.023111

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

2021 წლის 29 ნოემბერს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ასევე შეტანილ იქნა ცვლილება და „იზოლაციისა და კარანტინის წესების" მე-11 მუხლის 4^1 პუნქტს დაემატა „ვ" ქვეპუნქტი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეიგსტრაციო კოდით: 470230000.10.003.023110

დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 28 ნოემბრიდან.

2021 წლის 30 ნოემბერს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებში შეტანილ იქნა რიგი ცვლილებები.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.023118

დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს მთავრობის №136 დადგენილება

2021 წლის 24 ნოემბერს „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი:

„11. დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა საგანგებო მდგომარეობის ან პანდემიის გამო შეუძლებელი გახდა ან გართულდა, შესწავლის ვადის დამატებით განსაზღვრაზე ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მომართვის საფუძველზე, ლიცენზიის გამცემის ინიციირებისა და სამინისტროს წარდგინებით გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. ასეთ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიის გამცემს მიმართავს არაუგვიანეს 2022 წლის 31 იანვრისა. ამასთან, შესწავლისთვის დამატებით გამოყოფილი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge 380050000.10.003.023102

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს მთავრობის №388 დადგენილება

2021 წლის 29 ნოემბერს „სუბსიდირებული იპოთეკური სესხის“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს №388 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის – „სუბსიდირებული იპოთეკური სესხის“ რამდენიმე მუხლში შევიდა რიგი ცვლილებები, რომელიც განხორციელდა დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლებში.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 190020030.10.003.023109

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge